ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 2 მარტის სხდომის

ოქმი N 5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 2 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭება საატესტაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
3. სწავლის გადასახადის შესახებ ინგლისურენოვან საერთაშორისო სადოქტორო პროგრამაზე მათემატიკაში
4. სტუდენტ დავით მამალაშვილის შესახებ
5. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი - 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭება საატესტაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი, სადაც მოცემული იყო 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის იმ კურსდამთავრებულთა სია, ვისაც შესაბამისი აკადემიური ხარისხის მიენიჭა საატესტაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე (იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის წარდგინების საფუძველზე მიენიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს (სია იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ასოცირებულმა პროფესორმა გურამ ქუთელიამ.

ა) გ.ქუთელიამ აღნიშნა, რომ ABET აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერებები", რომლებიც დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 22.01.2018 სხდომაზე 13/2018 დადგენილებით. იმისათვის, რომ არ დაზარალდეს იმ სტუდენტთა ინტერესები, რომლებიც საბაკალავრო პროგრამას გადიოდნენ პროგრამის ძველი ვერსიით, მიზანშეწონილია შემდეგი სახის გარდამავალი დებულებების დამატება 13/2018 დადგენილებით განსაზღვრული ცვლილებებისთვის:

1. აკადემიური საბჭოს 13/2018 - 22.01.2018 დადგენილების I ნაწილის „ა" პუნქტის პირველი ქვეპუნქტით დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერებები" ბოლო ცვლილებების შეტანამდე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ დაასრულონ საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები" ცვლილებების შეტანამდე არსებული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ამ პროგრამის ყველა სტუდენტს, სურვილის შემთხვევაში, საშუალება მიეცეს გაიაროს პროგრამა ახალი რედაქციით.
3. გარდამავალი დებულებების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 31 აგვისტომდე.

ბ) გ.ქუთელიამ საბჭოს წარუდგინა ცვლილებები ამავე პროგრამის სილაბუსებში. კერძოდ, კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის კობა გელაშვილის მოთხოვნით უნდა შეიცვალოს პროგრამის 2 სილაბუსი.

1. ავტორისა და ლექტორის სილვა ტოროსიანის გარდაცვალების გამო "პროგრამული პაკეტი Mathematica და მისი შესაძლებლობები" სილაბუსის ავტორი და ლექტორი გახდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელი ნინო ნარიმანიძე;
2. სილაბუსი "რიცხვითი მეთოდები: ალგორითმების შექმნა, ანალიზი და კომპიუტერზე რეალიზაცია", სილაბუსის ავტორები - თსუ პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი და თსუ ასისტენტ-პროფესორი თინათინ დავითაშვილი (ასევე ლექტორები რამაზ ბოჭორიშვილი, თინათინ დავითაშვილი, გია ავალიშვილი, არჩილ პაპუკაშვილი) შეიცვალოს იგივე დასახელების სილაბუსით: ავტორები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელი თემურ ჯანგველაძე, ხოლო ლექტორი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი მიხეილ გაგოშიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ა) აკადემიური საბჭოს 22.01.2018 სხდომის 13/2018 დადგენილებით განსაზღვრულ ცვლილებებს დაემატოს შემდეგი სახის გარდამავალი დებულებები:

1. აკადემიური საბჭოს 13/2018 - 22.01.2018 დადგენილების I ნაწილის „ა" პუნქტის პირველი ქვეპუნქტით დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერებები" ბოლო ცვლილებების შეტანამდე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ დაასრულონ საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერებები" ცვლილებების შეტანამდე არსებული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ამ პროგრამის ყველა სტუდენტს სურვილის შემთხვევაში საშუალება მიეცეს გაიაროს პროგრამა ახალი რედაქციით.
3. გარდამავალი დებულებების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 31 აგვისტომდე.

ბ) შეიცვალოს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო 2 სილაბუსი:

1. ავტორისა და ლექტორის სილვა ტოროსიანის გარდაცვალების გამო "პროგრამული პაკეტი Mathematica და მისი შესაძლებლობები" სილაბუსის ავტორი და ლექტორი გახდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მასწავლებელი ნინო ნარიმანიძე;
2. სილაბუსი "რიცხვითი მეთოდები: ალგორითმების შექმნა, ანალიზი და კომპიუტერზე რეალიზაცია" სილაბუსის ავტორები - თსუ პროფესორი რამაზ ბოჭორიშვილი და თსუ ასისტენტ-პროფესორი თინათინ დავითაშვილი (ასევე ლექტორები რამაზ ბოჭორიშვილი, თინათინ დავითაშვილი, გია ავალიშვილი, არჩილ პაპუკაშვილი) შეიცვალოს იგივე დასახელების სილაბუსით, ავტორები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელი თემურ ჯანგველაძე, ხოლო ლექტორი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი მიხეილ გაგოშიძე.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - სწავლის გადასახადის შესახებ ინგლისურენოვან საერთაშორისო სადოქტორო პროგრამაზე „მათემატიკა“. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინგლისურენოვანი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკის“ ხელმძღვანელების მალხაზ ბაკურაძის, რამაზ ბოჭორიშვილის და უშანგი გოგინავას წერილი (იხ. დანართი 2), სადაც ისინი ითხოვენ პროგრამაზე 2017-2018 წლის გაზაფხულის სემესტრში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესდეს სემესტრული გადასახადი 150 ლარი 6 ძირითადი სემესტრის განმავლობაში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა და ო.მუკბანიანმა. რადგან პროგრამაზე სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც აქვთ სწავლის უფლება, მათ გამომსვლელს დააზუსტებინეს, რომ აღნიშნული შეღავათი ეხება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ინგლისურენოვან საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკაზე“ 2017-2018 წლის გაზაფხულის სემესტრში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესდეს სემესტრული გადასახადი 150 ლარი 6 ძირითადი სემესტრის განმავლობაში.

4. დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - სტუდენტ დავით მამალაშვილის შესახებ

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა.გამყრელიძემ გამოთქვა აზრი, რომ საბჭოს მიეწოდა მომხდარის ორი ურთიერთგამომრიცხავი ვერსია (დაცვის სამსახურის სამსახურებრივი ბარათი და სტუდენტის ახსნა-განმარტება, იხ. დანართები 3), საიდანაც ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია, ხოლო გამოძიების ჩატარება არაა ფაკულტეტის საბჭოს კომპეტენცია. შესაბამისად არ უნდა მოხდეს სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის წამოწყება. საბჭო დაეთანხმა ამ წინადადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: საბჭო არ განიხილავს სტუდენტ დავით მამალაშვილის მიმართ რაიმე სახის დისციპლინარული დევნის განხორციელების საკითხს.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე - მიმდინარე საკითხები.

ა) დოქტორანტ ქეთევან ჩუბინიძისათვის მეცნიერ-ხელმძღვანელების დანიშვნა და სადისერტაციო ნაშრომის თემის დამტკიცება. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ბიოლოგიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ თ.ლეჟავას ინფორმაცია ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ქეთევან ჩუბინიძისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ. სადისერტაციოდ შერჩეულია თემა: "ადამიანის პროსტატის უჯრედებიდან ზრდის შემაკავებლი ფაქტორის გამოყოფა და ოქროს ნანონაწილაკებთან მათი შეკავშირების მიზნით ახალი მიდგომის შემუშავება". მეცნიერ-ხელმძღვანელებად რეკომენდირებულნი არიან მორფოლოგიისა და განვითარების კათედრის გამგე, პროფესორი დიანა ძიძიგური და ქიმიის დეპარტამენტის მაღალმოლეკულური ნაერთების კათედრის გამგე, პროფესორი ომარ მუკბანიანი (იხ. დანართი 4 - ბიოლოგიის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის სხდომის ოქმი).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დოქტორანტ ქეთევან ჩუბინიძეს სამეცნიერო-ხელმძღვანელებად დაინიშნონ ბიოლოგიის დეპარტამენტის მორფოლოგიისა და განვითარების კათედრის გამგე პროფესორი დიანა ძიძიგური და ქიმიის დეპარტამენტის მაღალმოლეკულური ნაერთების კათედრის გამგე პროფესორი ომარ მუკბანიანი, ხოლო სადისერტაციოდ ნაშრომის თემად დაუმტკიცდეს "ადამიანის პროსტატის უჯრედებიდან ზრდის შემაკავებლი ფაქტორის გამოყოფა და ოქროს ნანონაწილაკებთან მათი შეკავშირების მიზნით ახალი მიდგომის შემუშავება".

ბ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების თემები, ასევე ბიოლოგიის და მათემატიკის დეპარტამენტების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა საბალავრო ნაშრომების თემები (იხ. დანართი 5).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტების სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენილი თემები, ასევე

ბიოლოგიის და მათემატიკის დეპარტამენტების საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა საბალავრო ნაშრომების წარმოდგენილი თემები (იხ. დანართი 5).

გ) ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა დასამტკიცებლად წარმოადგინა ლაბორატორიაში მუშაობის წესები, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ლაბორატორიის გამგე/ლაბორანტები (იხ. დანართები 6.1 – 6.4). ლაბორატორიაში სამუშაოების დაწყების წინ სტუდენტები ეცნობიან მუშაობის უსაფრთხოების წესებს და ადასტურებენ ჟურნალში ხელმოწერით. აღსანიშნავია, რომ ქიმიის საბაკალავრო პროგრამაში არის 5 კრედიტიანი საგანი „შრომის დაცვა და უსაფრთხოება“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნული ფორმების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ლაბორატორიაში მუშაობის წესები, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ლაბორატორიის გამგე/ლაბორანტები (იხ. დანართები 6.1 – 6.4).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი